

## განკარგულება N

ქ. ოზურგეთი  
2018წ----- ნოემბერი

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 26.16.22.053. 42719.0 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1 საერთო ფართით 50.63 კვ.მ.; N2 საერთო ფართით 40.33 კვ.მ. (მათ შორის: 1 სართული-8.57 კვ.მ. 2 სართული 31.76 კვ.მ.) N3 საერთო ფართით 7.08 კვ.მ.) და მასში განთავსებული მატერიალური ფასეულობების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, სარგებლობაში, სსიპ - საქართველოს საპატრიარქოსათვის გადაცემისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

**მუხლი 2.** ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის N59 განკარგულება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 4.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

### დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე